ცვლილებები ძალაშია 28.12.2022-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობები“-ში შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:**

1. საბანკო მომსახურების პირობების 7-ე მუხლის მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

გ) განიხილოს წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად „ანგარიშის სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტის მოთხოვნა, ხოლო კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის შემდეგ, მოახდინოს მისი 29^4 – 29^8 მუხლებში მოცემულ ნებისმიერ საბაზისო საბანკო პროდუქტზე გადაყვანა კლიენტის არჩევანის შესაბამისად.

2. შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 7^1 მუხლის 5 და 6 პუნქტები, ასევე დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

4^1. უმოძრაო კლიენტი – კლიენტი, ვისაც არცერთ მიმდინარე და შემნახველი ტიპის ანგარიშზე ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია მის მიერ ინიციირებული საბანკო ოპერაცია(ები) და არ აქვს მიმდინარე სესხი, ან მოქმედი ვადიანი ტიპის ანაბარი/სადეპოზიტო სერტიფიკატი.

5. კლიენტების უმოძრაო ანგარიშებზე/უმოძრაო კლიენტებზე კონტროლის გამკაცრებისა და არასანქცირებული საბანკო ოპერაციებისაგან თავდაცვის მიზნით უმოძრაო ანგარიშებზე/უმოძრაო კლიენტებზე იკრძალება კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციების ჩატარება, გარდა კლიენტის ან მესამე პირის მიერ უმოძრაო ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციისა.

6. უმოძრაო ანგარიშის მქონე კლიენტის/უმოძრაო კლიენტის, როდესაც კლიენტის ყველა ანგარიში უმოძრაოა, ანგარიშების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის ან კლიენტის უფლებამოსილი პირის ბანკში გამოცხადების და/ან მომართვის შემთხვევაში. უმოძრაო ანგარიშზე/უმოძრაო კლიენტზე რაიმე კლიენტის მიერ ინიცირებული ოპერაციის განხორციელება არ იწვევს უმოძრაო ანგარიშის/უმოძრაო კლიენტის და/ან უმოძრაო ანგარიშების მქონე კლიენტის ავტომატურად გააქტიურებას.

3. საბანკო მომსახურების პირობების 29^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „10-13“ პუნქტები:

10. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29^7 მუხლში მოცემული „**ანგარიში სტანდარტი**“-ს პირობების შესაბამისად.

11. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.

12. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29^4 – 29^8 მუხლებში მოცემული ნებისმიერი საბაზისო საბანკო პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.) და მოხდეს მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.

13. შესაბამისი მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4. საბანკო მომსახურების პირობების 29^4, 29^5 და 29^6 მუხლებს დაემატოს შემდეგი შინაარსის „11-14“ პუნქტები:

11. თუ კლიენტს არ ჩამოეჭრება საბანკო ანგარიშის მომსახურების საკომისიო ნებისმიერი, ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ: ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა, ყადაღა, ინკასო და ა.შ.) ზედიზედ 4 (ოთხი) კალენდარული თვის განმავლობაში და ამავდროულად კლიენტი არ სარგებლობს აქტიური ვადიანი დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით, ან/და აქტიური საკრედიტო პროდუქტით (გარდა ისეთი აქტიური საკრედიტო პროდუქტისა, რომელიც ვადაგადაცილებაშია არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში), ბანკი ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე, შეუცვლის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებას 29^7 მუხლში მოცემული „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობების შესაბამისად.

12. წინა პუნქტის შესაბამისად „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილ კლიენტს შეუნარჩუნდება „ანგარიში სტანდარტი“-ს პირობებით მომსახურება სანამ არ მოითხოვს მის შეცვლას.

13. „ანგარიში სტანდარტი“-ზე გადაყვანილი კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტის 29^4 – 29^8 მუხლებში მოცემული ნებისმიერი საბაზისო საბანკო პროდუქტით სარგებლობაზე გადაყვანა, რისთვისაც უნდა მიმართოს ბანკს (ბანკისათვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ინტერნეტ ბანკით და ა.შ.) და მოხდეს მისი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია.

14. შესაბამისი მოთხოვნა კლიენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში. არასამუშაო საათებში/დღეებში გაკეთებული მოთხოვნა ბანკის მიერ შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.